F75 № 3941

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1 ივნისი ხუთშაბათი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 127 (15340)

დიად იუბილეს

ცხრა დღით ადრე

ტყიბული. (საკ. კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდა ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი (დირექტორი ლ. ობოლაძე, მთავარი ინჟინერი ო. ბუბაშვილი), რომელმაც ვადაზე ცხრა დღით ადრე შესრულა ქვანახშირის მოპოვების ბუთი თვის სახელმწიფო დავალება. გეგმის გადამეტებით უკვე ამოღებულია 10 ათას ტონაზე მეტი „შავი ოქრო“.

ხაწარმოს ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს იმ საექსპლოატაციო უბნებმა, რომლებსაც კომუნისტები ვ. ჩაფიძე, დ. დეკანოსიძე და გ. ტურძილაძე ხელმძღვანელობენ. ორჯონიკიძელებმა წელს მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, შეამცირეს ქვანახშირის თვითღირებულება, ტონა ხაბობრი შახტს 96 კაპიკით იაფი დაუჯდა, რის შედეგადაც მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში მიღწეულია 32 ათასი მანეთის ეკონომია.

დამკვრელური შრომით სახელი გაითქვეს წმენდითი ხანგრეკის მუშებმა ზ. გიორგაძემ, გ. ლეშკაშელმა, უ. მამედოვმა, გ. ბასილაძემ, ნ. თევდორაძემ.

პირველს ასრულებენ

თბილისი. [illegible] ბანი, ახალი [illegible] ბოთ სსრ [illegible] ამ დეკემბ[illegible] ტის დირექტორი გ. ჯორჯიაშვილი. კოლექტივი. მეწისქვილეები სიტყვას არ ლალატობენ. პროდუქციის რეალიზაციის ბუთი თვის დავალება 25 მაისისათვის გაანაღდეს, და გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია დაამზადეს. მარტო ოთხ თვეში სასაქონლო პროდუქციის გამოშვებას 220 ათასი მანეთით გადაამეტეს, მომმხარებელს გეგმის გადამეტებით 1.700 ტონა ხარისხოვანი ფქვილი მიაწოდეს.

ბომბორეობის რეჟიმის განხორციელებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 0,6 პროცენტით შეამცირეს და დიდი ეკონომია მიიღეს.

ბრიგადებს შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს იმ შრომითმა კოლექტივებმა, რომლებსაც შ. ნადირაძე და კ. საკოვი ხელმძღვანელობენ. მუშებს შორის დაწინაურდნენ გ. ქარქუსაშვილი და რ. ლაზარიდი.

დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები

ამთავრდა საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვიზიტი. საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის მოსკოვში გამართული მოლაპარაკება, ამ მოლაპარაკების შედეგად მიღებული დოკუმენტები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სოციალურ სისტემებს შორის განსხვავებათა მიუხედავად, იდეოლოგიაში განსხვავებათა მიუხედავად, მსოფლიო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში მათი პოზიციების კარგად ცნობილ განსხვავებათა და ზოგჯერ დაპირისპირების მიუხედავად, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება როგორც ორი ქვეყნის ხალხთა, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმის ინტერესებისათვის, შესაძლებელია. შესაძლებელია საქმიანი თანამშრომლობის განვითარებაც. ამრიგად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეოპოლიტიკური კურსი, მისი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, კომუნისტური მშენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფას, დაგვირგვინდა კიდევ ერთი დიდი წარმატებით, რომელიც უდავოდ ადასტურებს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების დიად ცხოველმყოფელ ძალასა და სიხარულს.

დოკუმენტი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები“, რომელსაც ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა, ქმნის საბჭოთა კავშირ-ამერიკას ურთიერთობის განვითარების ბაზას. ამ დოკუმენტში ჩაწერილია, რომ ორივე მხარე „იხელმძღვანელებს საერთო რწმენით, რომ ატომის საუკუნეში მათ შორის ურთიერთობისათვის არ არსებობს სხვა საფუძველი, მშვიდმბიანი თანაარსებობის გარდა“. მხარეებმა ვალდებულება იკისრეს ყოველი ღონე იხმაროონ, რათა თავიდან აიცილონ სამხედრო კონფრონტაციები და ატომური ომი, მზად იქნებიან მოაწესრიგონ უთანხმოება მშვიდობიანი გზით, მოაწყონ მოლაპარაკება გადაუჭრელ საკითხებზე ურთიერთგაგების სულისკვეთებით. სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების აუცილებელ წანამძღვრებად ცნეს მხარეების უშიშროების ინტერესები და უარის თქმა ძალის გამოყენებასა თუ მისი გამოყენებით დამუქრებაზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა და რ. ნიქსონმა ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე — სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვაზე. დადებულმა შეთანხმებებმა ხელი უნდა შეუწყოს გამალებული სტრატეგიული შეიარაღების ახალი ტურის თავიდან აცილებას, რომელიც რაკეტულ-ატომური კონფლიქტის საფრთხეს ქმნის და უზარმაზარ სახსრებს ართმევს შემოქმედებითის მიზნებს. ამ შეთანხმებებს საფუძვლად უდევს მხარეთა თანაბარი უშიშროების პრინციპი და არავის არ აძლევს ცალმხრივ სამხედრო უპირატესობას.

მოლაპარაკების მსვლელობაში ხელი მოაწერეს ავრეთვე სხვა დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს კოსმოსის, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში თანამშრომლობის შესახებ. ორივე მხარემ დასახა ღონისძიებანი, რომ ურთიერთხელსაყრელი პირობები შექმნან ვაჭრობისა და სხვა ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. ხელი მოაწერეს შეთანხმებას ღია ზღვაში და საჰაერო სივრცეში ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ორმხრივი ურთიერთობის საკითხებთან ერთად ერთმანეთს გაუზიარეს აზრები დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე. გაანალიზებს დარგში მეცადინეობის საბოლოო მიზნად მხარეებმა მიანიჭეთ საყოველთაო და სრული განიარაღება, მათ შორის ატომური განიარაღება, და აღნიშნავენ, განიარაღების საკითხთა მსოფლიო კონფერენციის მნიშვნელობას ამ მიზნების მიღწევაში. აღინიშნა, რომ ევროპაში მიღწეულია დაძაბულობის შენელება, ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა ევროპის საზღვრების ურღვევობა, მიეხალმა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებას დადებას, აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ სრულიად ევროპის თათბირს, რომელიც ახლა მზადდება. ორივე მხარე იმის მომხრეა, რომ ახლო აღმოსავლეთის კრიზისი მშვიდობიანად გადაწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად.

როგორც აღნიშნულია კომუნიკეში, საბჭოთა მხარემ მოლაპარაკების დროს გამოთქვა თავისი სოლიდარობა, ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხების სამართლიანი ბრძოლისადმი თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის. მტკიცედ უჭერს რა მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის წინადადებებს, რომლებიც რეალურ და კონსტრუქციულ საფუძველს უქმნიან ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებას, საბჭოთა კავშირი მოითხოვს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვის შეწყვეტას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების ჯარების მთლიანად და უპირობოდ გაყვანას სამხრეთ ვიეტნამიდან, მოითხოვს, რომ ინდოჩინეთის ხალხებს ჰქონდეთ საშუალება თვითონ გადაჭრან თავიანთი ბედი, გარეშე რაიმე ჩარევის გარეშე.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკაში იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვების მტკიცე მოგერიება შეამებულია მომწიფებული საერთაშორისო პრობლემებისადმი კონსტრუქციულ მიდგომასთან, იდეოლოგიურ ბრძოლაში შეურიგებლობა — იმისათვის მზადყოფნასთან, რომ განვითარდეს ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობა საწარმოადგეგო საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებთან. ამა წლის მარტში სსრ კავშირის პროფკავშირთა XV ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება შესაძლებელია. უფრო მეტიც, იგი სასურველია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა რომელიმე მესამე ქვეყნებისა თუ ხალხების ხარჯზე, არა მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების საზიანოდ“. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებმა დაადასტურა, რომ ურთიერთობის ასეთი გაუმჯობესება შეიძლება რეალობა გახდეს. ამ მოლაპარაკებასა და ხელმოწერილ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიოს პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებისათვის.

მოსკოვის მოლაპარაკება და ამ მოლაპარაკების დროს მიღწეული შეთანხმებანი ახალი ნაბიჯებია, რათა პრაქტიკულად ხორცი შეესხას პრინციპებს, რომლებიც მოცემულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ სამშვიდობო პროგრამაში, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე ბრძოლას საერთაშორისო უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის, ამ გზაზე მიღწეულ სასარგებლო შედეგებს. მოლაპარაკების შედეგებს მაღალ შეფასებას აძლევენ მოძმე სოციალისტური ქვეყნები, კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობა.

ჩვენი პარტია და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან თანამშრომლობით და მთელი მსოფლიოს მრავალმილიონიანი ხალხის მასების მხარდაჭერით კვლავაც განაგრძობენ მშვიდობის აქტიური დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას.

ОГОНЬОК

31 მაისის მოწინავე.

მოსკოვი. კრემლი. 31 მაისი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ ხელს აწერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.
ა. სტუშინის ფოტო. (საკვანძო. მიღებულია ხაქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1970 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში და რომელიც მოიწონეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და იროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1972 წ. 31 მაისი.

მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

31 მაისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომა გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნმა.

სხდომაზე მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

პრეზიდიუმმა განიხილა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის“ საკითხი.

საბჭოთა მთავრობის სახელით გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

საბჭოთა მთავრობამ, თქვა მან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სარატიფიკაციოდ წარმოუდგინა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელმოწერილი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი ამთავრებს საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის დამაძაბულობის ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც გამოწვეული იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების პოლიტიკით, საერო პოლიტიკურ და სამართლებრივ საფუძველს უქმნის საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კეთილმეზობლობისა და მშვიდობიანი ურთიერთსულსაყრელი თანამშრომლობის მოგვარებას ორივე სახელმწიფოს ხალხთა, ევროპის მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებამ ერთხელ კიდევ გამოავლინა მკაფიოდ, თუ რაოდენ ცხოველმისეული და ეფექტიანია საბჭოთა კავშირის გეზი — საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისა და მთელი ევროპის თანამშრომლობის განვითარების გეზი, რომელიც ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ დასახა და რომელიც დადასტურდა და კვლავ განვითარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულ პლენუმზე.

ხელშეკრულების მიზნები და ამოცანები ნათელი და გასაგებია. ისინი სავსებით გარკვეულად ჩამოყალიბებულია ხელშეკრულების ტექსტში, რომელიც გამორიცხავს რაიმე დამახინჯებულ განმარტებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მხარეთა ვალდებულების ფიქსაციას ევროპის უშიშროების ძირითად საკითხზე — ევროპის არსებულ სახელმწიფო საზღვრებზე. საბჭოთა კავშირმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ განაცხადეს, რომ „ახლა და მომავალშიც ურღვევად მიიჩნიან ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრები, როგორც ისინი პრიან ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, და არავითარ ტერიტორიულ პრეტენზიებს არ წაუყენებენ არავის“.

ომისშემდგომ პერიოდში პირველად ხელშეკრულებაში მსგავლ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან, რომელიც ამასთანავე გასადგურებული ჰიტლერული გერმანიის ერთ-ერთი უფლებამონაცვლეა, ფიქსირებულია ომოლონდის სასაზო რესპუბლიკის დასავლეთის საზღვარი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზღვარი. ამას, უდავოდ, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური თანამეგობრობის დასავლეთის საზღვრების განმტკიცების, ჩვენი ორი მოძმე მოკავშირე სახელმწიფოს უშიშროებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების გეგმაში. ყველა ეს დებულება შეადგენს ხელშეკრულების ღერძს. მათ საფუძვლად უდევს მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად შექმნილი არსებული ტერიტორიული და პოლიტიკური რეალობანი.

ევროპელმა ხალხებმა საკუთარი გამოცდილებით კარგად იციან, რომ აგრესორის მიერ სხვა სახელმწიფოთა საზღვრების ხელყოფას, ევროპაში სასაზღვრო ბოძების გადაწევა-გადმოწევის ცდებს არაერთხელ მოკყოლია საომარი კონფლიქტები, რომლებმაც მილიონობით ადამიანი შეიწირეს, გამოიწვიეს მატერიალური და სულიერ ფასეულობათა უდიდესი ნგრევა. ევროპის ყოველ სახელმწიფოს, დიდსა თუ პატარას, უფლება აქვს ქონდეს უზრუნველყოფილი და უსაფრთხო საზღვრები.

საზღვრების ურღვევობის პრინციპი, რომელიც მკაფიოდ აისახა და ჩამოყალიბდა მოსკოვის ხელშეკრულებაში, შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს, მისწრაფებებს. სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ლენინური ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა და დაიცავს საერთაშორისო სამართლის ამ უმნიშ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ჩვენი ქვეყნის მომავალი

ბედნიერ საბჭოთა ბავშვებს ახე შეიძლება ვუწოდოთ — ჩვენი ქვეყნის მომავალი, ეს იმის შედეგია, რომ განუხრელად ხორციელდება დიდი ლენინის ანდერძი — ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს! დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ სოციალიზმმა შექმნა მოზარდი თაობის აღზრდის ყველაზე ხელშემწყობი პირობები. ბავშვთა ჯანმრთელობის კერების ფართო ქსელით უმაგალითო დონეს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ. სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებები, სკოლები ოჯახთან ერთად, ოჯახის მხარდამხარ ზრდიან ჯანსაღ, ბედნიერ თაობას, მომავლის მშენებლებს.

პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეცხრე ხუთწლიანი გეგმით შეიარაღებული საქართველოს მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, მთავრობის ხელშეწყობით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამშობლოს აღუზარდონ ღრმად განათლებული და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანები, რადგან მათ, ვინც ახლა სწავლობს, ან ახლა შედის სკოლაში, უნდა განვითარონ ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა.

დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ხალხი განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით შესცქერის თავის იმედსა და მომავალს — ბავშვებს. სწორედ მოზარდი თაობის ბედისათვის ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით არის ნაკარნახევი დაწესება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისა, რომელიც ყოველწლიურად 1 ივნისს აღინიშნება.

ჩვენ ვვინდა არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ მთელი ჩვენი პლანეტის ბავშვები იბადებოდნენ, იზრდებოდნენ, ცხოვრობდნენ უშიშრად, არ ესმოდეთ ხროლა და აფეთქება, არ იყვნენ მსხვერპლნი ომისა, როგორიც გამოიარეს საბჭოთა ხალხებმა, როგორსაც დღეს განიცდიან ხალხები მსოფლიოს არაერთ კუთხეში.

ლენინური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხაზინამ და საგარეო პოლიტიკა ამის ნიმუშია, თუ როგორ უნდა იბრძოდნენ ხალხმწყობა მშვიდობიანობისთვის, ბავშვთა სიცოცხლისა და სიხარულისთვის. სსრ კავშირში ბავშვები ის ერთადერთი პრივილეგირებული კლასია, რომლის კეთილდღეობისათვის ზრუნავს მთელი სახელმწიფო.

როდესაც ჩვენს ქვეყანაში აღვნიშნავთ ტრადიციულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მთელი სიდიადით დგება არა მარტო საბჭოთა სკოლამდელი, სკოლისგარეშე, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მუშაობის როლი ბავშვთა ბედნიერი მომავლისათვის, არამედ ამასთან ნათლად წარმოისახება მთელი საბჭოთა სკოლის მნიშვნელობა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში, უორმლისოდაც წარმოდგენელია მომავლის მშენებელთა თაობა.

სასწავლო წელი მიწურულს უახლოვდება. ერთნი ტოვებენ საბავშვო ბაღებს და სკოლის ზღურბლს გადააბიჯებენ სექტემბერში, მეორენი მოსამზადებელი კლასებიდან პირველ კლასში გადადიან და ეზიარებიან მოსწავლის რთულ და ხალისიან ცხოვრებას, და ასე შემდეგ. სასკოლო ცხოვრების ყველაზე ცხარე — სასწავლო წლის დამამთავრებელ პერიოდში ვზეიმობთ ბავშვთა დღესასწაულს, და ერთხელაც გონების თვალს ვავლებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს, ჩვენს პერსპექტივებს.

თვითეულ მოსწავლეს — ღრმა და მტკიცე ცოდნა! — მოსკოველთა ამ მოწოდებას ფართოდ ეხმაურებიან საქართველოში. არც ერთი მეორეწლიანი! — არის ლოზუნგი. ყველა გზა — საყოველთაო საშუალო განათლებისაკენ! — აი დევიზი.

წარმოუდგენელია მარტო სკოლამ მიაღწიოს ამ სასურველ შედეგს, თუ მას მხარში არ ამოუდგება ოჯახი. ოჯახური ურთიერთობა უნდა ავავოთ ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე, გამოვიჩინოთ ტაქტი ბავშვის აღზრდაში, დავეუფლოთ აღზრდის ხელოვნებას.

ოჯახს ყველა პირობა აქვს შექმნილი ბავშვის აღზრდისათვის. სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, მომსახურების სფეროს ზრდის ტემპების დაჩქარების პროგრამა საბჭოთა ადამიანებს, უწინარეს ყოვლისა, ქალებს შესაძლებლობას აძლევს ოჯახურ საქმეთა გან თავისუფალი დრო გამონახონ და მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვთა აღზრდას. მათ დასახმარებლად მოქმედებენ მშობელთა უნივერსიტეტები, სამედიცინო, იურიდიული კონსულტაციები, ბავშვთა გამაჯანსაღებელი მოედნები, ბანაკები, სანატორიუმები.

დიდია კომკავშირის როლი ბავშვთა აღზრდაში. სკკპ ცკ-ის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისა-თვის მზადების შესახებ“ ნათქვამია: „კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მიზნად უნდა ისახავდეს მოზარდი თაობის აღზრდას კომუნისტური იდეურობის, ჩვენი საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების, ხალხთა ურღვევი მეგობრობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“. სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმართონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი თავიანთი მუშაობა — ყოველმხრივ შეუწყონ ხელი, დაეხმარონ და უხელმძღვანელონ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

მომავალი მოქალაქის პირველი ნაბიჯები ისახება მოსწავლეთა ცხოვრებაში, როგორც კი იგი ჩანთით ხელში სკოლის ზღურბლს გადააბიჯებს. ეი სწორედ ამ მომენტიდან იწყება ხოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის შეგნება.

ბეჯითად ისწავლე, უყურადღებით მოუსმინე მასწავლებლის ახსნას, გულმოდგინედ და დამოუკიდებლად შეასრულე ყველა მისი დავალება, გაკვეთილზე კარგად მოიქეცი, მეცადინეობაზე არ დაიგვიანო... და ასე, ამ ფერ სასკოლო პერიოდში ნორჩს, მოზარდს მიჰყვება ქვეყნის, ხალხის, სკოლის დარიგება, ვინ მშობლისა. ჩვენი ვალია ბავშვს მოთხოვნილებად ვუქციოთ, პირველი კლასიდანვე, ყველა ხავალდებულო ქცევის შესრულება.

ვზარდოთ მომავლის ადამიანი — მშენებელი, პატრიოტი, ბარმონიულად განვითარებული. ბავშვთა ბედნიერება მათს ჯეროვან აღზრდაშია.

დე ჰყვაოდეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ბედშარიტი ცოცხალი თაიგული — ბედნიერი ბავშვობა.

მშვიდობა იყოს ქვეყნად და

იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაკურდი, ბახდი ყანაო!

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

ჩვენი სიხარული, ჩვენი მომავალი...

ხ. კილაძის ფოტო.

მეგვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

(დასასრული).

ფენელოვანეს პრინციპს, გადაჭრით იბრძოლებს მისი განუხრელი დაცვისათვის.

ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს ვალდებულებებს, რომ არ გამოიყენებენ ძალას ერთმანეთს შორის ურთიერთობაში და საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას. შესაბამისი ხუთეები ხელშეკრულებაში შეტანილია იმის გათვალისწინებით, რომ მის დადგენილებებს საფუძვლად უდევს არსებული საზღვრების შეუვალობა და ამორიცხავს რაიმე ტერიტორიული მოთხოვნის წამოყენების შესაძლებლობას. ძალის გამოყენებაზე უარისაქმის პრინციპის განხორციელება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობის პრაქტიკაში ხელს შეუწყობს მის შემდგომ დამკვიდრებას მთელი ევროპის მასშტაბით, ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას კონტინენტზე.

საზაზასით უნდა აღინიშნოს, თქვა შემდეგ ბ. ა. გრომიკომ, რომ 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულება მიმართული არ არის მესამე სახელმწიფოების წინააღმდეგ და არ შეეხება მხარეების მიერ წინათ დადებულ შეთანხმებებს. ყველა თავისი ღებულებით იგი ხელს უწყობს ევროპის უშიშროების განმტკიცებას. ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნას.

ამ მიზნებს შეეხებამება აგრეთვე მოსკოვის მოლაპარაკების დროს შემუშავებული შეთანხმება მხარეების განსრახვების შესახებ, რომელიც ფიქსირებულია ურთიერთგაგება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობასთან ევროპის პოლიტიკის მთელ რიგ მიმწოფებულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

ამასთან პრინციპული მნიშვნელობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ისეთი ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ამოყანას, რომელიც შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს. ამ ბოლო პერიოდში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მიღწეული შეთანხმება ამათ ურთიერთობის მთელ რიგ საკითხებზე, და ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის მანძილზე პირველად კარს ხელმოწერილი შესაბამისი შეთანხმებანი. ამ შეთანხმებათა მიღწევის ფაქტი მოწმობს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია ეს ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან მომდინარეობს. ეს ნორმალიზაცია ხელს შეუწყობს ევროპაში ფეხმოკიდებული ვითარების ჯანსაღ ბაზაზე ჩამოყალიბებას. ეს ნორმალიზაცია ხელს შეუწყობს ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრების, მათ შორის გერმანიის საზღვრების ბოლონდელ სახალხო რესპუბლიკასთან ოდერსა და ნოისეს დასავლეთი საზღვარი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი. ხელშეკრულების ეს დებულებანი ძირითადია ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ამოცანების გადაწყვეტისათვის. ახლა ამ ეტიერიდან ევროპაში ადარ იქნება არე ერთი სახელმწიფო, რომელიც საეჭვად გახდის ევროპის საზღვრების ურყევობას. ეს არის მთელი მშვიდობისმოყვარული ძალების დიდი წარმატება, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის წარმატება.

დადი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მუხლს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობაში ძალის ან ძალის გამოყენების მუქარაზე უარისთქმის შესახებ. ამ მუხლის დებულებანი შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და მიზნებს და არსებულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ რეალობათა ცნობის კონკენტაცი მნიშვნელოვანი როლი უნდა შესასრულონ ამ საქმეში, რომ ევროპა წინ წავიდეს კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის გზაზე. სრულიად ევროპის მასშტაბით ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოთა შორის ნდობისა და ურთიერთგაგების ზრდას, დამამტკიცებელ შესაძლებლობებს შეუქმნის ევროპაში განიარაღების, შეიარაღებული ძალების და შეიარაღების შემცირების კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას.

ხელშეკრულება მთელი თავისი შინაარსით მიზნად ისახავს ევროპის მშვიდობის განმტკიცებას, ევროპის ვითარების ძირფესვიან გაჯანსაღებას. ამ მის მიზანმიმართულებას უფრო მეტად უსვამს ხაზს შეთანხმება მხარეთა განსრახვის შესახებ, რომელიც ასახავს მათ შორის მიღწეულ ურთიერთგაგებას ევროპის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. ამ შეთანხმებაზე შესრულება, უეჭველია, სტიმულს მისცემს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას, ხელს შეუწყობს მათ შორის ნდობის დამყარებას.

მოსკოვის ხელშეკრულებები იქმნება ახალი მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის. ამ საფრთხო უკანასკნელ დროს დაისახა არსებითი ძვრები. მაგრამ ეს, უეჭველია, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის გაუჯობესებას ეწინააღმდეგება. ეს ურთიერთობა ეფუძნება ორ სახელმწიფოს თანამშრომლობის ფუძეზე, ეს ეფუძნება ორ ერის ინტერესებს, ეს ეფუძნება ევროპის ხალხების ინტერესებს.

ამ ბოლო ხანებში ევროპის ზოგიერთ ადგილას ადგილობრივ ომებთან ერთად ადგილობრივ ომებთან ერთად ადგილობრივ ომებთან ერთად

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა როგორც მეცნიერება

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე

ისტორიულად ყველა მეცნიერება თავიის უშუალო საგანთან იყო დაკავშირებული. მისგან ამოდიოდა, ანდა თავვე ისაზღვრებოდა. დროის ფაქტორის კვალად საგანი აპირობებდა მეცნიერების გაჩენას, ხოლო მეცნიერება თვით საგნის ანალიზს. გამოსაყოფის არცერთი დღემდე არსებული მეცნიერება არ წარმოადგენს, არც ბუნებისმეტყველი, მით უფრო არც ტექნიკურ-გამოყენებითი. მეცნიერების თავდაპირველი ფორმებიდან მოყოლებული, დაუსრულებელი დიფერენციაცია-ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო ცხადი ხდება, რომ მეცნიერება უძლურია გაექცეს თავის საგანს, ხოლო საგანი, რაც უფრო მეტად ექუმდებარება ანალიზს, მით უფრო მეტად ხეჭიროს ახალი კუთხით მიდგომას, მაშასადამე, ახალი მეცნიერების შექმნას. ამიტომ დღეს უკვე აღარავის უკვირს, როცა ხედავს ერთი მეცნიერების რამდენიმედ დანაწილებას (დიფერენციაციას) და ორიმენიმე მეცნიერების ერთად შეერთებას (ინტეგრაციას). სწორედ ეს არის მეცნიერებათა დიფერენციაციისა-ინტეგრაციის პროცესი, რაც უსასოვარი დროიდან მომდინარეობს და ამჟამად ყველაზე მეტად ინტენსიურია.

მაგრამ არა მარტო ამ პროცესმა განაპირობა იმ ახალი მეცნიერების შექმნა, რომლის სახელია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. ეს მეცნიერება აკნინება თვით მისი საგნის მხრივ აუცილებელი საჭიროების მიზეზით. თანამედროვეს უმაღლესი სკოლა ოტომალური ჩანთ წინ-ვერ წავა, თუ საკუთარი პედაგოგიკა არ გაიფორმა. როგორც მეცნიერება. გარდა ამისა, უმაღლესი სკოლის თვითეული კურსი ისეთი სპეციფიურობით ხასიათდება, რომ პირდაპირ გვიბიძგებს სპეციალური შესწავლისაკენ თავისი ანალიზისა და სინთეზის სავსებით რეალური შედეგებით.

ავიღეთ პირველი კურსი.

სრულიად ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ პირველ კურსზე როგოც დავაყენებთ სწავლა-აღზრდას, თანაბარ პირობებში, შედეგიმ კურსებზეც საქმე დაახლოებით ისეთივ ფორმათუბა. ამ მხრივ პირველი კურსი უმაღლესი სკოლისათვის იგივეა, რაც დაწყებითი სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისათვის. აქ დიდი ჭეშმარიტება იმალება და ამიტომ არ უნდა მოვერიდოთ პარალელების შედეგად მიღებულ დასკვნებს. მაგრამ ეს საკითხი თუ დღემდე ღრმად არ დამუშავებულა, ნამდვილად მეცნიერულ დონეზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოტას ვეუშაობდით უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, სპეციფიკურ პრობლემებზე, ვამაყოფილდებოდით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ანალიზის ნაშრომებიდან, რომელიც თავისი სპეციფიური ობიექტით განსხვავდება დანარჩენ მეცნიერებათაგან, მაშასადამე, არა მარტო ცალკე არსებობის უფლება აქვს, არამედ, ვალდებულიცაა ამგვარი სახით ჩამოყალიბდეს.

ამიტომ საჭიროა იქიდან დავიწყოთ, რომ სპეციალურად დამუშავდეს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები, როგორც ცალკე მეცნიერების თეორიული ბაზა. შეუძლებელია აქ ვიხელმძღვანელოთ მექანიკური ან დოგმატიკური მიდგომით. ხელოვნურად არფრის გამოყენება არ ვარგა, შემუშავებულთან დამუშავება კი აუცილებელია. ჩვენ არ შეგვიძლია საუნალო სკოლის პედაგოგიკის მეთოდოლოგია ან სწავლა-აღზრდის პრინციპებმე ავტომატურად მივუყენოთ უმაღლეს სკოლას, მაგრამ შეგვიძლია საკუთრივ შემოქმედებითი ასპექტით ყველაფერი ეს ორგანიულად გამოვიყენოთ სპეციფიკური სფეროების აბსოლუტური გათვალისწინებით.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძველი შეიძლებოდა, როგორც საერთოდ პედაგოგიკისა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, ჯერ კიდევ ადრე, მარქსიზმის წარმოშობამდე იდეალისტური ფილოსოფიის დამოკიდებულება ანალოგიური პრობლემისადმი. მხედველობაში მყავს ჰერბარტი. კარგად გვეხსნის ოიპენ ფრიდრიხ ქრბარტის (1776-1841) იდეალისტური ფილოსოფიის ყველა ნაკლი, მაგრამ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ მის დამსახურებას პედაგოგიური მეცნიერების წინაშე. მართალია, აქაც ჰერბარტი თითქმის იმავე ეოდგუბს ამეღავნებს, რასაც ფილოსოფიაზეს და ფსიქოლოგიაში, მაგრამ იდეალისტთაგან ის ერთერთი პირველი იყო ახალ საუკუნეებში, რომელმაც გაიგო ფილოსოფიური აზროვნების მნიშვნელობა პედაგოგიკისათვის. ჰერბარტი, რომელიც კან�შემდეგ კენიგსბერგის უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლიდა ოცდათხუთ წლის მანძილზე, ამავე დროს, კათედრის გამგე იყო, იმ კათედრისა, მანამდე ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის გამოჩენილ ავტორს რომ ეკავა, პირდაპირ ამბობდა: „არსად ისე საჭირო არ არის ფართო ფილოსოფიური მეცადინეობანი, დაფუძნებულნი ზოგად იდეებზე, როგორც პედაგოგიკაში, სადაც ყოველდღიური მუშაობა და ინდივიდუალური გამოცდილება კლერ აპიროდენ აღმზრდელს კორეზონტს“. შეუძლებელია ეს აზრი ზოგადად არ გავიზიაროთ და ჭეშმარიტებად არ მივიჩნიოთ თეორიული პედაგოგიკისათვის, პარალელურად იდეალიზმის უარყოფისა.

ამ პრობლემას მეცნიერული სიღრმით წყვეტს მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც უკუაგდებს მეთოდს, როგორც სუბიექტური კატეგორიის იდეალისტურ გაგებას. მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა არარეფლექტირივი გარკვეულობით დაასაბუთეს მატერიალისტური დიალექტიკის, როგორც მეთოდის არსება, ცხადჰყვეს, რომ ჭეშმარტი მეთოდი სუბიექტური კატეგორია კი არ არის, არამედ სინამდვილის ობიექტურ კანონთა მეცნიერული ანალიზის ხერხია.

მეთოდოლოგიური პრობლემების გარკვევიდან საჭირო იქნება გადავიდეთ ისტორიული საფუძვლების გაანალიზებაზე.

როგორც ყოველ მეცნიერულ დისციპლინას, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკასაც აქვს თავიისი ისტორია, პრაქტიკა და თეორია.

1. ისტორია იწყება პლატონის აკადემიიდან და არისტოტელეს ლიკიმდან. შემდეგ მსოფლიოში ცნობილი ყველა უმაღლესი სკოლა, კოლეჯითის, გელათის, იყალთოსა და გრენის აკადემიების ჩათვლით შეიგ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ისტორიაში. მაგრამ ანტიკისა და შუასაუკუნეებს უნდა მოჰყვეს უმაღლესი განათლების მეცნიერული ანალიზი რენესანსის ეპოქაში (ევროპის ყველაზე უხნესი უნივერსიტეტების დახასიათება, მაგალითად, ბოლონიასა, სორბონისა და ა. შ.). შემდეგ ბურჟუაზიული ეპოქა, და ბოლოს, ახალი სოციალისტური უმაღლესი სკოლა მთელი თავისი გამოცდილებით.

ისტორიის გადმოცემის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლესი განათლების ფორმების, სახეობისა და სწავლების მეთოდების დახასიათებას. მაგალითად, პლატონის აკადემიისა და არისტოტელეს ლიკეის სრული სახის ჩვენებამ უნდა გვითხრას მათი მუშაობის ფორმებსა, სახეებსა და მეთოდებზე არა მხოლოდ ზოგადად (რაც აუცილებელია), პირველყოფილისა კონვრატული შინაარსით (პირველთან სოკრატეს დიალეგის პრეკალორები, აქედან პლატონის თხზულებების — დიალოგების ფორმა; მეორესთან პეტრიპთეგრიო, მაგრამ თხზულების წერა უდიალოგოთ, ისორეზით, თითქმის როგორც დღესა გვაქვს). იგივე უნდა განმეორდეს შუასაუკუნეების მეტაფიზიკურ, სქოლასტიკურ-დოგმატიკურ უმაღლესი განათლების მიმართ. ცალკე უნდა დახასიათდეს უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების შექმნა, როგორც მეცნიერებათა სწავლების ორგანიზაციული ფორმა ბისა (პირველთან — მრავალფეროვნება, მეორესთან — სპეციალური). არ უნდა დავივიწყოთ სხვა ფორმებიც — კურსებნი ქსელი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტების გადამზადების ჩათვლით (დასელოვნების ინსტიტუტები, კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტები, სპეციალური უმაღლესი სკოლები — მაგალითად, პარტიული და ა. შ.).

სტაციონარული სწავლების პარალელურად, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დაუსწრებელ და საღამოს განსაკუთრებულ ადგილს, როგორც ადამიანების ინტელექტუალურ განვითარებაში, ეროვნული ინტელიგენციის ფორმირებაში, ეროვნული ენის, ლიტერატურის, ეროვნული ფილოსოფიის, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეთიკის, ეროვნული ესთეტიკის, ეროვნული ფიზიკურ-ფიზიოლოგიური ფორმების, მათი პლუსების, აგრეთვე მინუსების ანალიზით.

მაგრამ ამ გადმოცემას სრული ღირებულება მხოლოდ მაშინ იქნება, რაკი ისტორიას ვუჩვენებთ ფრიდრიხ ენგელსის ფორმულირებებს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმამდე, ანალოგიურ ფორმულირებებს ფეოდალიზმიდან სოციალიზმამდე, ანალოგიურ ფორმულირებებს ბურჟუაზი

მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს!

ა. ჩარკვიანის ფოტოეტიუდი.

კიდევ ცოტა, და თბილისის 31-ე ბაბა-ბალის ეს ალსაზრდელები სკოლაში იცლიან.

შ. ჩხეტიანის ფოტო.

ახალი მოთხრობები

ახლა შენ მოეთხოვინე!

ბია, როგორც კი შინ დაინახავდა ბაბუას, მაშინვე ზღაპრების წიგნს მიაჩეჩებდა.

— აბა, ბაბუა, წამიკითხე ერთი ზღაპარი! — მიმართავდა ხვეწნით.

ბაბუაც, რაც უნდა დაღლილი ყოფილიყო, ხათრს არ უტეხდა. გადაფურცლავდა წიგნს და პატარა ზღაპარს ამოარჩევდა. მერე და მერე გიაც გაეშმაკდა: დიდი ზღაპარი წამიკითხე, დიდი ზღაპარი, — სთხოვდა მუდარით.

წამოიზარდა ბია.

სკოლაში შეიყვანეს.

დადგა დრო, როცა ბიამაც ისწავლა კითხვა. ახლა უკვე ადარა აქვს საქმე სხვის სახვეწნელად, მშვენივრად კითხულობს.

კითხვა რომ არ იცოდა, ბაბუას არ ახვევნებდა, წამიკითხე, წამიკითხეო.

ახლა კითხვა იცის, მაგრამ მერე რა? მაინც არ ახვევნებს, ბაბუას, მოიტანს წიგნს და ეუბნება:

— ბაბუა, ზღაპარს წაგიკითხავ, მომისმინე!

— ბიჭო, მე ათასი საქმე მაქვს, რათ გინდა ჩემი მოსმენა?

— როგორ არ მინდა, შენ რომ მიკითხავდი ბოლმე, მე ხომ გისმენდი, ახლა შენ მომისმინე!

გვიჟა ღა შეილიშვილი

რუსიკს ბაღი ახლოა, მაგრამ მარტო არ უშვებენ. ხან დედიკოს მიაყვეს, ხან მამიკოს.

ერთხელ ბებიამ წაიყვანა.

აი უკვე ეზოში გამოჩნდნენ.

ბებია და შვილიშვილი ხელიხელჩაკიდული მიდიან.

რუსიკოს შეკითხვები არ ელევა, ხან რას ეკითხება, ხან რას.

ბებიაც არ ტოვებს უპასუხოდ.

ტკბილად მისაუბრობენ.

აგერ რუსიკოს ბაღიც გამოჩნდა, ფართო ეზოს იქითა მხარეზე.

მიჰქრიან და მოჰქრიან მანქანები.

რუსიკომ გაიჩერა ბებია, ეუბნება:

— ახლა ფრთხილად, ბებია, მანქანა არ დაგეჯახოს!

— ისე უთხრა, თითქოს პატარა რუსიკოს მიაყვავ ბებია.

შიო და ვანო

დილით სკოლაში რომ წავიდოდნენ ხოლმე შიო და ვანო, წინ შიო მიდიოდა, უკან ვანო მიპყვებოდა.

ახლა, სკოლიდან რომ მოდიოდნენ?

წინ ისევ შიო იყო, უკან ვანო.

ერთ დღესაც ასე წავიდნენ შინიდან, მაგრამ სკოლიდან?

წინ ვანო მოდიოდა... თუმცა მოდიოდა კი არა, მორბოდა, ეზოში რომ შემოვიდა, ჩანთიდან დდიური ამოაფრიალა, თან გაიძახოდა:

— ნახეთ, ნახეთ!

ასე ხმაურით. ეს ბავშვი არასოდეს არ მოსულა, დღეს რა მოუვიდაო, გაიკვირვა ბებიამ, წინდის ქსოვას თავი დაანება, სათვალე მოიხსნა და მიაძახა:

— რა ვნახოთ, რა ამბავია?

— აი — ოთხიანი მივიღე, აი აქ არის ჩაწერილი, — ვანო დღიურს აფრიალებდა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — შეაქო ბებიამ.

საღამოზე, რიგა დედა, და მამა მოვიდნენ სამსახურიდან, ახლა მათ-მიურბენინა დღიური.

ამათი შეეცინა, დაიმსახურა.

შიო იდგა გაჩუმებული და თვალს არ აშორებდა გახარებულ ვანოს, თავის უმცროს ძმას.

ბოლოს მამამ შიოს ჰკითხა:

— ბიჭო, შენ რა ჩუმადა ხარ?

— მე ყოველდღე ხუთიანებს ვიღებ, მაგას დღეს დაუწერეს ერთი ოთხიანი და იმიტომ არის ასე გახარებული.

— აბა, ნახე, ხვალაც რომ მივიღე ოთხიანს, მერეც მივიღებ, სულ ასე კარგად ვისწავლი, — ამბობს ვანო.

— ყოველთვის თუ კარგ ნიშნებს მიიღებ... ეხ, მაშინ შენც ასე ჩემსავით ჩუმად იქნები, კარგი ნიშნის მიღება აღარ გაგიკვირდება, — უთხრა შიომ.

ლ. ჭიჭინაძე.

ძამიკოების ჩხუბი

ბექა და რატი ძმები არიან. ბექა სამი წლის ვარსკვლავოვანელებინი ბიჭია, ბუღუტელა რატი წლისა და სამი თვისაა. ბექას რატი უყვარს, რატის ბექა. ისე უყვართ ერთმანეთი, რომ უერთმანეთოდ პირში ლუკმას არ ჩაიდებენ და ყლუპ წყალს არ დალევენ. პაპა ჩუჩჩხელას რომ მოუტანს ბექას, იგი მაშინვე კითხულობს:

— რატის?..

და შუაზე უყოფს თავის უმცროს ძმაკოს.

რატის დიდედა მიაწვდის თუ არა ირისს, რამდენიმეს ხელში ანჩეჩს ბექას და ძმურად შესძახის:

— აბა, ბექა!

გუშინ კი იჩხუბეს. ო-ჰო-ჰო-ჰო, როგორ იჩხუბეს!

ჰოდა რაზე იჩხუბეს, იცით?

პაპამ ბექას ნახატებიანი წიგნი მოუტანა. მან ნიხარულით დაიწყო წიგნის ფურცვლა და თვალიერება. რატომ ცერად გადახედა წიგნს, ძალიან მოეწონა, კარგა ხანს დინჯად უცქერა უფროს ძმას, მოთმინებით უცადა დ... ბექამ ფერადებიანი წიგნი შუაზე რომ არ გაუყო. წართმევა მოუნდომა. უფროსმა ძმამ ხელიც არ მიაკარებინა, — დამიხევსო. უმცროსი გაბრაზდა, ყურეუფელა: თვალებიდან ნაპერწკლები დაფრქვია, აყოა ხელები დაუშტა, ბექას ცხვირწინ გაუკაფ-გამოუკანა და თავისებურად დაუმუქრა:

— დახუნ-დიხუნ-დუხუნ, დუხუნ!

ეს კი ვეღარ მოუთმინა ბექამ და ხელი მოუქნია. რატი თავგამეტებით ეძგერა....

ორივე ატირდა, ორთავეს ცრემლები ჩამოუგორდა...

ორთავეს ერთმანეთი შეებრალათ და ხარხუბრად ჩაკიდებულებმა უცებ ერთმანეთს მოფერება, დამშვიდება და კოცნა დაუწყეს.

ტკბილი ყვავილები

ზაუხლის კვირადე იყო. დიდი ცაცხვის ფოთლებსა და ყვავილებს ნელი ნიავი ხაბოდ აშრიალებდა. ამ ხის გვერდზე შემოლობილ ყვავილების ბაღში პაპა და შვილიშვილი შეეიდნენ. პაპამ შვინდის წვრილწყვეტებული ჯოხით ვარდების გარშემო მიწის გაფხვიერება დაიწყო. შვილიშვილი კოკრებს ხელის ნაზი გადასმით მოეფერა და ერთ წითელად გაფურჩქნილ ხავერდის ვარდს კრძალვით აკოცა.

პაპამ ხალერსით ჰკითხა:

— გიგლა ბიჭო, მოგეწონა?

— ვეფერები, პაპა!

— ყოჩაღ, კარგი გული გაქვს... მოხიუკარული კაცი გაიზრდები...

— დიდი გავიზრდები!

— მაგაო ახლა ძალიან სწყურიაო...

— მე, პაპა, მე მოვიტან წყალს! — ისეთი ხმით შეეხვეწა გიორგი, რომ პაპამ დაუთმო, შენი პატარა ხარწყულით მოეცუნცულე, გაახარეო.

— ეს ბავშვი ეს ბავშვი! — ამბობდა ბებია, ბებერ ბებერ ბებერ